

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2021 წლის _____ იანვრის
№ _____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების
შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“.

2. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების მიზანია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის მიერ რეაბილიტაციის კურსის ჩატარება. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2021 წლის იანვრიდან 2021 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქ. ბათუმში 7 წლამდე ასაკის, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული ბავშვები.

5. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი, განვითარების ზოგადი (პერვაზიული) აშლილობა, მეტყველების განვითარების სპეციფიკური აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა და სხვა) მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები.

6. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების რეაბილიტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების რეაბილიტაციის ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტის პერსონალს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში (ადრეული ასაკის (36 თვემდე)) ბავშვებთან;

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და

შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება)

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“
ექვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების, ფასე-
ბისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე:
www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე:
ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 302659; მარინე რუხაძე.